საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№52 (6428) 30 აპრილი სამშაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულიად საქართველოს საპროტესტო აქცია

25 აპრილს, შუადღისას მთელი საქართველოს ტერიტორიაზე სამი წუთით შეაჩერეს მუშაობა საწარმოებმა, დაწესებულებებმა, ტრანსპორტმა. შეწყდა მეცადინეობა რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებში. ასე აღინიშნა საერთო-რესპუბლიკური საპროტესტო აქცია, რომლის მოწყობის ინიციატორად გამოვიდა საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაციასთან შექმნილი საგაფიცვო მოძრაობის კომიტეტი. გაფიცვა მოეწყო სამაჩაბლოდან საბჭოთა ჯარების გაყვანისათვის ხალხის სამართლიანი ბრძოლის მხარდასაჭერად. ცენტრის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში დეზინფორმაციის კამპანიის შეწყვეტისათვის.

ზუსტად 12 საათზე ახმიანდა საყვირები რესპუბლიკის ყველა დიდ სამრეწველო საწარმოში, სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტზე, რათა ეუწყებინა სრულიად საქართველოს საპროტესტო აქციის დაწყება. სამი წუთის განმავლობაში არ დადუმებულა და მოუწოდებდა არა მარტო ამ შრომითს კოლექტივებს, არამედ რესპუბლიკის მთელ მოსახლეობასაც მტკიცე პროტესტი გამოეთქვათ უსამართლობის, იმპერიული აზროვნების წინააღმდეგ, რომელსაც ავლენს კრემლი სუვერენული საქართველოს რესპუბლიკის მიმართ.

ნეოკომუნისტური ტოტალიტარიზმი

ხვნა - თესვის საშური დღეები დგას

მიწა თესლს ითხოვს

ამიტომ

მოვდგეთ

სახნის - საკვეთის

კარს

აპრილია, გაზაფხულის ყველაზე ლამაზი თვე, სწორედ ამ თვიდან იღებს სათავეს გამოღვიძებული ქართველის სამომავლო ფიქრი, ფიქრი დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველოს შენების, ოღონდ ისეთი ქარიშხლები ტრიალებს ჩვენი სამშობლოს თავზე, ლამის დაგვავიწყდეს, რომ ვარდფურცლობისა და სიცოცხლის გამოღვიძების, საქართველოში ახალი ცხოვრების დაწყების ჟამია. ქართველის მიერ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გამოცხადებით გაავებული აგრესორი გვიტევს სამაჩაბლოდან, შიდა ქართლი კვლავ ღია ჭრილობაა ჩვენი. უსასტიკეს ბლოკადაში ვყავართ ცენტრს, გაფიცულია რესპუბლიკის ყველა საკავშირო დაქვემდებარების საწარმო, გაფიცულები ითხოვენ სამაჩაბლოდან და მთლიანად საქართველოდან საოკუპაციო ჯარების გაყვანას. თავისუფლების იმედით სულდგმული საქართველო ყოველ დეფიციტსა და ყოველ ბლოკადაზე მაღლა დგას, რადგან „არა მხოლოდ პურითა ერთითა" დარჩების კაცი.

ამიტომ მოვდგეთ სიყვარულის კარს, სახნის-საკვეთის კარს, გავნვწმინდოთ, ავმაღლდეთ და მოვუაროთ სამშობლოს, მოვუაროთ ერთმანეთს, მოვუაროთ საქართველოს.

თორემ... ჩავიხედოთ სულში და ვკითხოთ საკუთარ თავს, ვაკეთებ კი იმას, რასაც უნდა ვაკეთებდე, ჩემი პირადული საზრუნავი საზრდოობს კი სამშობლოს საერთო საფიქრალით?

ჩვენთან ახლა ეყრება საფუძველი წლის მოსავალს, თესლის ხნულში მოხვედრის დროა, და რაც უფრო ადრე დათესავ, ადრე მოიმკი, გასულ წელს გლეხურ მეურნეობაზე გადასვლის გამოცხადებამ, წელს კი იჯარის დანერგვამ ერთგვარი დაბნეულობა გამოიწვია, აგერ აპრილის უკანასკნელი დღეებია და არის რაიონის სოფლები, სადაც ჯერ-ჯერობით ერთი კვალიც კი არაა გატანილია, არადა ზოზინის დრო არაა, ჩვენ თუ არ ვიმუშავეთ ჩვენ თუ არ გავაკეთეთ ჩვენი გასაკეთებელი, ვინ, ვინ გააკეთებს ჩვენს ნაცვლად? ახლა ყველაფერი მექანიზატორთა მონდომებაზეა-თქო, ხშირად ვამბობთ და კვლავ ვიმეორებთ, მაგრამ არც მუშა-გამწევი ძალა არ უნდა გამოვრიცხოთ, იგი დღეს სოფლად დიდი ძალაა.

ახლა სულ სხვა დრო დაგვიდგა, აღარაა ერთმანეთთან ანგარიშწორებისა და ფეხის თრევის დრო, საქმის კეთების დროა და არა მხოლოდ სათავისოდ, და მოვდგეთ კეთილგონიერებისა და სათნოების კარს, სახნის-საკვეთის კარს და ყველა ერთად ჩავდგეთ საქართველოს დიდი ჭირნახულის —ნამდვილი თავისუფლების მოპოვების პირველ გაკვალულ ხნულში.

წვევამდელთა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილების შესაბამისად მიმდინარე წლის 1 მაისიდან რესპუბლიკის ტერიტორიაზე ეწყობა წვევამდელთა სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებით სავალდებულო სამხედრო სამსახურში გასაწვევად რაიონებისა და ქალაქების გამწვევ უბნებში გამოცხადებას ექვემდებარება 1973 წელს დაბადებული წვევამდელები, რომლებსაც გაწვევის დღისათვის შეუსრულდებათ 18 წელი, აგრეთვე 1972-1966 წელს დაბადებული წვევამდელები, რომლებმაც დაკარგეს გაწვევის გადავადების უფლება ან არ იყვნენ გაწვეული სხვადასხვა მიზეზის გამო.

სავალდებულო სამხედრო სამსახურში გასაწვევი წვევამდელები, ვალდებული არიან გამოცხადნენ შესაბამის გამწვევ უბნებში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. გამოცხადების ვადები კონკრეტულად ინიშნება და ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების პრეფექტების ბრძანებათა საფუძველზე.

წვევამდელები, რომლებსაც გარკვეული მიზეზების გამო არ მიუღიათ უწყება გამწვევ უბნებში გამოცხადების შესახებ, ვალდებული არიან გამოცხადდნენ 1991 წლის 15 მაისამდე.

წვევამდელები, რომლებიც გაწვევის პერიოდში დროებით იმყოფებიან ან ცხოვრობენ სხვა რაიონის ტერიტორიაზე, ვალდებული არიან გამოცხადდნენ გასაწვევ უბნებში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სადაც იმყოფებიან სამხედრო აღრიცხვაზე.

წვევამდელები, რომლებიც დროულად არ გამოცხადდებიან სავალდებულო სამხედრო სამსახურში გასაწვევ უბნებზე ან თავს აარიდებენ სავალდებულო სამხედრო სამსახურს, პასუხს აგებენ საქართველოს რესპუბლიკის არსებული კანონის თანახმად.

საქართველოს რესპუბლიკის საწარმოების, ორგანიზაციების, უწყებების, კოლმეურნეობების, სახელმწიფო მეურნეობებისა და სასწავლებლების, აგრეთვე სახლთმმართველობებისა და სოფლის საკრებულოების ხელმძღვანელები ვალდებული არიან უზრუნველყონ მათთან მომუშავე ან მათ ტერიტორიაზე მცხოვრები წვევამდელების გამოცხადება შესაბამის გასაწვევ უბნებში, რაიონის ან ქალაქის პრეფექტის ბრძანებით დაწესებულ ვადებში.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი ჯარების—ეროვნული გვარდიის მთავარ სამმართველოს დაევალა განახორციელოს სათანადო ღონისძიებანი სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეული წვევამდელების მისაღებად და შესაბამის სამხედრო ქვედანაყოფებში გასანაწილებლად.

საქინფორმი.

ტრადიცია გრძელდება

სოფელ ლასურიაშში ცხოვრობს გია სვანიძე. იგი ჯერ კიდევ ახალგაზრდაა, მაგრამ ისე შეეჩვია მიწას, ზვარს, უკვე საკმაოდ გამოცდილი მევენახეა, ალღო აუღო მიწას. მთელი არსებით შეიყვარა სოფელი. 0,2 ჰექტარი ზვარი გაიპიროვნა ოჯახური იჯარით. სათუთად უვლის ვაზს. მავთულზე აკრავს, ელოლიავება, თვალის ერთი გადავლებით მიხვდები, რომელია მისი ზვარი, მავთულზე გადაჭიმული ვაზი მზეს ეფიცხება და მზრუნველი მევენახის ხელს ელოდება. ოჯახური ტრადიცია გრძელდება, მშრომელი ადამიანების ოჯახში აღზრდილი შვილიც შრომისმოყვარეობით გამორჩეულია.

გიას ამასთან ერთად 0.4 ჰექტარი სახნავი ფართობიც აქვს გაპიროვნებული, მოძღიერებულ ოჯახში დამხმარე ტექნიკაცაა და ამიტომ ამოდენა ფართობის დამუშავება არ გაუჭირდება.

შემოდგომაზე მთელი წლის ნაოფლარი ერთად გამოიღებს ნაყოფს და გამრჯე ახალგაზრდას შემოდგომა ორმაგად მოუზღავს სამაგიეროს.

ჟ. ახვლედიანი.

რაიონის საკრებულოების დეპუტატთა საყურადღებოდ!

მიმდინარე წლის 6-დან 14 მაისის ჩათვლით რაიონში ჩატარდება სოფლის საკრებულოთა პირველი მოწვევის პირველი სესიები შემდეგი დღის წესრიგით:

არჩევნები:

1. საკრებულოს სამანდატო კომისიის;
2. საკრებულოს მდივნის;
3. საკრებულოს მდივნის მოადგილის;
4. საკრებულოს სარევიზიო კომისიის;
5. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისიის;
6. საკრებულოს გამგებლის.

სესიები ჩატარდება შემდეგი გრაფიკით: ოყურეშის სოფლის საკრებულოში—6 მაისს 12 საათზე, ზუბის საკრებულოში—6 მაისს 18 საათზე, წიფერჩის საკრებულოში—7 მაისს 12 საათზე, ლუხვანოს საკრებულოში—7 მაისს 18 საათზე, აღვის საკრებულოში—8 მაისს 12 საათზე, ლასურიაშის საკრებულოში—8 მაისს 18 საათზე, ალპანის საკრებულოში—9 მაისს 12 საათზე. ტვიშის საკრებულოში—9 მაისს 18 საათზე, ნაკურალეშის საკრებულოში—10 მაისს 12 საათზე, ღვირიშის საკრებულოში 10 მაისს 18 საათზე, ორბელის საკრებულოში—11 მაისს 12 საათზე, უსახელოს საკრებულოში—11 მაისს 18 საათზე, ლაილაშის საკრებულოში—13 მაისს 12 საათზე. ქვედა ცაგერის საკრებულოში—14 მაისს 12 საათზე, ქ. ცაგერის საკრებულოში—14 მაისს 18 საათზე.

დეპუტატთა დასწრება სავალდებულოა.

ცაგერის ტერიტორიული საარჩევნო კომისია.

ყველამ ვიფიქროთ!

ცაგერის მხარეთცოდნეობის მუზეუმი 50 წლის წინ დაარსდა. ამ ხნის მანძილზე მასში თავმოყრილი იქნა ეროვნული სიმდიდრე, 20,000-მდე ექსპონატი, რომელთაგან ბევრი მათგანის, ბრინჯაოს განძების, მონეტათა კოლექციების და სხვების მნიშვნელობა საქართველოს საზღვრებს სცილდება.

დაარსებიდან 2 ათეულ წელს მუზეუმი ეკლესიის შენობაში იყო. ახლა ქალაქის ცენტრში ორსართულიან შენობაშია.

რამდენიმე წლის წინ კულტურის სამინისტროს ინიციატივით დაიწყო მზადება მუზეუმის ახალი შენობის აგებისათვის, მაგრამ

საიდან აშენდეს მუზეუმი?

საჭიროა გათვალისწინებულ იქნას: პირველი—მუზეუმის შენობა უნდა იყოს ტიპიური, მთის რელიეფს შეგუებული. ჯერ ასეთი ნაგებობა საქართველოში რომელიმე მუზეუმისათვის არ აშენებულა. 15 წლის წინ დაიწყო მესტიის მუზეუმისთვის ასეთი შენობის დაპროექტება. გაზეთმა „კომუნისტმა“ გამოაცხადა კონკურსი. შემდეგ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა შენობის პროექტი, მაგრამ მუზეუმის შენობა დღემდე არ აგებულა.

ამიტომ საჭირო იქნება ჩვენი მუზეუმისათვის ტიპიური პროექტის საჯარო განხილვა, თუნდაც ჩვენი გაზეთის საშუალებით, რადგან მუზეუმის თანამედროვე ტიპიურ შენობაში, გათვალისწინებული უნდა იქნეს ბევრი რამ თანამედროვე ტექნიკის გამოყენებისათვის, მაგალითად, მოძრავით გამოფენები, მცირე კინოდარბაზი, ლაბორატორიები, ფონდებისა და კოლექციების სპეციალური ოთახები და სხვა.

მოძრავი გამოფენების გამოყენებით გამოფენაში გატანილი იქნება 5-10-ჯერ მეტი ექსპონატი, ვიდრე ახლაა. ხოლო კინო ახალი მეთოდია და საუკეთესო საშუალებაა სამუზეუმო მასალების საფუძვლიანი გაცნობისათვის. ამისათვის მუზეუმისა და მხარის (ლეჩხუმის) სხვადასხვა სახის მასალებზე შეიქმნება თემატური კინო-ჟურნალები, რომლებსაც დამთვალიერებლებს ვუჩვენებთ დადგენილი ტექსტით. ასეთ შემთხვევაში მუზეუმისადმი ინტერესი და დამთვალიერებელთა რიცხვი მრავალჯერ იზრდება, რადგან ხალხს მოსწყინდა მუზეუმის თანამშრომელთა მონოტონური, ერთფეროვანი საუბარი. სასურველია და ვფიქრობ, აუცილებელიც, მოსწავლეებს, მოზრდილებს, უცხოელებს, სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს სხვადასხვა ტექსტით ელაპარაკო.

ასე რომ, ნაგებობა სამუზეუმო ტექნიკის უკანასკნელი მიღწევების ბაზაზე უნდა აიგოს, ამისათვის არ გამოდგება მოჯარის მიერ აგებული შენობა. მოჯარე ხომ თანხების ათვისებით და მოგებითაა დაინტერესებული და არა იმდენად ხარისხით, რომელსაც დღეს თითქმის არავინ არ აკონტროლებს და თუ აკონტროლებს, ფორმალურად. ამის წალი სართული ძალზე ნესტიანია, უვარგისია. ისიც ცნობილია, რომ გასული საუკუნის 40-იან წლებში დავით დადიანმა ცაგერის ვაკეზე დაასახლა ებრაელები და სომხები, რომ ცაგერი სავაჭროსახელოსნო ცენტრად ექცია, მაგრამ მაშინდელი გაზეთის ცნობით „ხაშმმა“ ამოწყვიტა და დარჩენილები გაიფანტნენ. დღეს მუზეუმისათვის შერჩეული ადგილი ყველაზე დაბალია, სადაც ცხენისწყლის ადიდების გამო მნიშვნელოვნად მაღლდება და აქ მიწისქვეშა წყლის დონე ზემოთ, მდინარის ნაპირზე დასახლებულთა ეზოები წყლით იფარება. ამის გამო შენობის სათავსო ოთახები პირველ სართულზე სრულიად უვარგისია ექსპონატებისათვის. ამასთან შენობა სულ ახლოსაა მდინარის სუსტად გამაგრებულ სანაპიროსთან. აგრეთვე შენობის მიმდებარე იქნება ბაზარი, 4-სართულიანი საცხოვრებელი სახლი, რესტორანი, ავტო სადგური, სახანძრო ნაწილი და სხვა. იგი დაშორებული იქნება წყალტუბო-სვანეთის ტურისტულ ტრასას და სხვა. ამდენად, ჩემის აზრით, სამუზეუმო შენობისათვის ეს ადგილი მიზანშეუწონელია, მაგრამ სად ავაგოთ შენობა? გამოვიყენოთ თუ არა მუზეუმის ახლანდელი ნაგებობა?

1978 წელს კულტურის სამინისტრომ მოამზადა და კოლეგიაზე განიხილა მხარეთმცოდნეობის მუზეუმების მატერიალური ბაზის გაუმჯობესების საკითხი—მოითხოვეს მოხსენებითი ბარათი. დადგა ჩვენი მუზეუმის შენობიდან კინო-თეატრის გამოყვანის საკითხი და გადაწყდა კიდეც. კოლეგიის გადაწყვეტილებით რაიონის ხელმძღვანელობას ეთხოვა ამ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა. მაგრამ მისი შესრულებისათვის არაფერი იზრუნეს. ახლაც შეიძლება ამ საკითხის მოგვარება ისე, რომ კინოთეატრს, იმავე ტევადობის დარბაზი ჰქონდეს. რაც ახლა აქვს, ამისათვის საკმარისია დიდების მუზეუმის დარბაზები (ამჟამად დიდების მუზეუმები არსად არ არის). ამით მუზეუმს საშუალება მიეცემა თანამედროვე მეთოდურ-ტექნიკურ დონეზე გააწყოს გამოფენები, გამოიყენოს კინო და გადაწყვიტოს ყველა საკითხი, რომელიც თანამედროვე მუზეუმის აღჭურვილობისთვისაა საჭირო.

თვით საქართველოს ისტორიული მუზეუმი 20 წელზე მეტია მიშენებითი სამუშაოებით იუმჯობესებს თავის მდგომარეობას ან კიდევ შეიძლება ახლანდელ შენობას დაეშენოს ერთი სართული. ესეც საკმარისია ჩვენი მუზეუმისათვის, უკანა მხრიდანაც, მუზეუმის ეზოდანაც შეიძლება მიშენება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მუზეუმის ეხლანდელი ადგილი სვანეთისა და რაჭისკენ მიმავალ ტრასაზეა, რაც ყოველწლიურად ასობით დამთვალიერებელს გვმატებს. მეორეც, ეს ადგილი ქალაქის კულტურის ცენტრია. აქ მუზეუმის ირგვლივაა სარაიონო კულტურის სახლი, მუსიკალური და სამხატვრო სკოლები, ცენტრალური და საბავშვო ბიბლიოთეკები, ქალაქის ცენტრალური ბაღი და მოედანი და ქალაქის მთავარი დაწესებულებანი. მუზეუმის უკანა მხარე უკავია ეკლესიას და სასაფლაოს, ხოლო ფერდობები 5 ციხეს, რომლებიც გასულ საუკუნეში მოქმედებდნენ და ა. შ.

ასეთნაირად შეიძლება მოგვარდეს მუზეუმის მატერიალური ბაზის განმტკიცება. მაგრამ რაკი განუზრახავთ ლეჩხუმის დახმარება, ახლანდელ კულტურის მინისტრს ბატონ ნოდარ წულეისკირს უფრო დიდ ეროვნულ საქმეს, ლეჩხუმში ციხე-მუზეუმის შექმნას ვთხოვთ. ახლა ამის გაკეთება მით უფრო შეიძლება, რომ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის და რესტავრაციის მთავარი სამმართველო კულტურის სამინისტროს შეუერთდა. ეს იდეა 10 წელზე მეტია ტრიალებს. რაიონის თხოვნით მთავარმა სამმართველომ შეიმუშავა მურის ციხის რესტავრაციის გეგმა. შედგა ნახაზები, გამოიყო დაფინანსებაც—ერთხანს მუშაობაც დაიწყო, მაგრამ მალე შეწყდა.

ახლა საჭიროა ამ მუშაობის განახლება, რომ ციხის რესტავრაციის შემდეგ შიგ მოეწყოს ციხე-მუზეუმი, რაზედაც შემუშავებულია საინტერესო პერსპექტიული გეგმა-პროექტი. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ საქართველოში არცერთი ციხე არ აძლევდა გამარჯვების სალუტს. ან სალუტს საპატიო სტუმრის მიღებისას. გასული წლის პრესა და დოკუმენტები უტყუარ ცნობებს გვაწვდიან ზარბაზნით შეიარაღებული მურის ციხიდან ასეთ სალუტებზე (ყირიმის ომი 1853-56 წ) გუბერნატორ მალაფეევის სტუმრობა ცაგერში) და სხვა მრავალი.

მურის ციხე-მუზეუმი—ეს იქნებოდა ტურისტებისა და საქართველოს საპატიო სტუმრებისათვის საინტერესო და მიმზიდველი ადგილი.

ჯ. სალინაძე.

ეკონომიკური მიმოხილვა

ღარიბი უფლისწულები

სამწუხაროდ, ჩვენთან ყოველნაირი დეფიციტი და უკმარობა ჩვეულებრივი მდგომარეობა გახდა. ყოფა-ცხოვრებაში ამას სიღარიბემდე მივყავართ, სახალხო მეურნეობაში კი ეს წარმოების მოცულობათა მუდმივი შემცირებით აიხსნება.

სხვათა შორის, ათეული წლობით გვიმტკიცებდნენ, რომ უსაზღვროა ჩვენი ქვეყნის რესურსები. და ეს მართალი იქნებოდა, რომ კანონიერ სიამაყესთან ერთად ჩვენ გამოგვემუშავებინა მისწრაფება აირეთიანად გვეხარჯა ეს სიმდიდრე. მაგრამ შევითვისეთ რა ამ იდეის მხოლოდ ნაწილი, ჩვენ პირდაპირ ბარბაროსულად შევუდექით ყოველივე იმის ხარჯვას, რაც წინაპრებმა დაგვიტოვეს. ჩვენს სამეურნეო ცხოვრებაში ბატონობდა პრინციპი: „რადაც უნდა დაგვიჯდეს“!

და ვაკეთებდით ასეთი „კალკულაციით“. მანქანებს, ვაშენებდით ქალაქებსა და ქარხნებს, ვაფრქვევდით საწვავს მიწაზე, რათა ზედმეტი კილომეტრები მიგვეწერა, ვადნობდით ფოლადს, რათა „დამატებით ტონები მიგვეღო“. ახლა კი ვბუზღუნებთ: ეს არ გვყოფნის, ის არ გვყოფნის, სიღარიბემ შეგვჭამა. ხირცხვილია სიღარიბეს უჩიოდე მაშინ, როდესაც პირდაპირ სიმდიდრეზე ზიხარ.

ახლა ფრჩხილებს „ვიკვნეტთ“. გამოგვეპარა, გავუშვით მომენტი, როცა ყველა ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყანა სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის თვისებრივად ახალ ეტაპში შევიდა, რომლის ფარგლებშიც გააჩაღეს დაძაბული შეჯიბრი თითოეული გრამი საწვავისათვის, რომელსაც ხარჯავენ ავტომობილები ან ავიალაინერები, სამანქანო წონის თითოეულ კილომეტრზე სიმძლავრის ერთეულისათვის. გიგანტომანიამ, მუდმივმა სწრაფვამ რეკორდებისაკენ დათვური სამსახური გაგვიწია.

თუ სად მიგვიყვანა ყოველივე ამან—ცნობილია. გაუგებარია სხვა რამ—ბოლოს და ბოლოს როდისღა გამოვიტანთ აქედან პრაქტიკულ დასკვნებს. მართალია ბოლოს და ბოლოს, გადაწყდა შევიმუშაოთ ქვეყნის ნავთობაზის რესურსების ეკონომიკურად ხარჯვის საერთო ეროვნული პროგრამები, რომლის კონცეფციების დასამუშავებლადაც გამოყოფილია ნახევარი წელიწადი. ბენზინით გასაწყობ წერტებთან უკვე ახლა იზრდება რიგები. და საქმე მარტო ენერგიაშემცველობაში როდია. ჯერჯერობით ხომ არ არის ისეთი სახის ნედლეული, რომელიც გვეყოფოდა, ან საკმარისზე მეტი იქნებოდა.

მიმოვიხედოთ გარშემო: გავერანებულია გზები, მინდვრები, ეზოები სავსეა ლითონის ნარჩენებით—დაწყებული კონსერვის ქილებიდან უზარმაზარი მანქანების ნაწილებამდე. მდინარის ნაპირებსა და საზღვაო ნავსადგურებში იუანგება მილიონობით ძვირფასი სანელი მალდე ფოლადი, სავაჭრო ბაზებთან და მაღაზიების ეზრებში გაჩაღებულია ხეს ტარეს კოცონები, ამ სურათს დასატებით „ამშვენებს“ სხვადასხვა ჩვრების გროვები, რომელთა მეორად გადამუშავებაზედაც არავინ ფიქრობს.

რომელი საზოგადოება გაუძლებს ასეთ უყაირათობას? ამგვარად ხომ არავითარი ფერადი ქვები არ ეყოფა თვით ერთი თაობის სიცოცხლესაც კი.

კარგი გამოცდილებისათვის შორს არ გვინდა წასვლა: ფინეთში, მაგალითად, მინის ტარის ნაკლებობას არ უჩივიან. თვითონ დავრწმუნდი: ავტომატში ჩავტვირთე ყველა ცარიელი ბოთლი, რომლებიც კი მეგობრების სახლებში აღმოვაჩინე, ტექნიკამ დათვალა და დაახარისხა ბურჭელი, ისინი რომელთა გამოყენებაც შეუძლია ქვეყნის ქარხნებს, გაიგზავნა გასარეცხად, ხოლო ისინი, რომლებიც სტანდარტებს არ შეეფარდება, დაიმსხვრევა, მაგრამ თითოეული (ჩაბარებული) „ერთეულისათვის“ ჩამბარებელმა ერთნაირი ფასი მიიღო—მარკის მეოთხედი. მინის ნამსხვრევი—ძვირფასი ნედლეულია და ამასთან მისი „ტოტალური“ ჩაბარების დროს ნაკლები რისკია. ხომ შეიძლება ვინმემ გატეხოს ბოთლი და ნამსხვრევები ტყეში ან გზაზე დაყაროს.

ეს ეხება ქაღალდსაც. ფინური ოჯახი მას დღე-ღამეში საშუალოდ 2-2,5 კილოგრამს იყენებს. მაგრამ ვერც ქუჩაში და ვერც ეზოში ნაგავს ვერ ნახავთ. აქ სტიმულია სრული თვითშეგნება. ქვეყნის ფაბრიკები იმდენ პროდუქციას უშვებენ, რომ მეორადი ნედლეულისათვის ფასის გადახდა სახელმწიფოსათვის საზარალოა. მაგრამ საზოგადოებრიობა მოითხოვდა: თითოეულ მიკრორაიონში არის მეტად მოხერხებული სპეციალური ჰერმეტული კონტეინერები. გაიარე მის გვერდით—ჩააგდე შიგ უვარგისი ქაღალდი, და აგდებენ კიდეც. ისე ყოველგვარი „მადლობის“ გარეშე.

როგორ ვიქცევით ჩვენ, რომელთაც თავი ქვეყნის პატრონად მიგვაჩნია? ცხადია, მეურნეობრიობის საბოლოო შედეგები შეესაბამება გაწეულ ძალისხმევას

შეიძლება, ნავთობგაზის პროგრამების მსგავსი ახლო მომავალში შემუშავდეს ნახშირის, ფოლადის, ცემენტის, ხის და სხვათა მომხმარებლისთვისაც, მაგრამ თუ გავყვებით „დარგობრივ“ გზას, ჩვენ დასახულ მიზანს მაინც ვერ მივაღწევთ. საჭიროა აუცილებელი კანონი რესურსების, მათ შორის მეორადის შესახებ. იგულისხმება კერძოდ, მკაცრი პასუხისმგებლობა მათი უმიზნო განიავებისა და დანაკარგებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში გარდა ნაგავსაყრელებისა, ვერაფერს მივუმატებთ.

ბ. ბრიუჩენკო.

ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲣᲙᲔᲗᲔᲡ ᲘᲔᲠ-ᲡᲐᲮᲔᲡ, ᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲡ — ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲣᲚᲘᲡᲧᲣᲠᲘ!

ᲡᲐᲜᲘᲛᲣᲨᲝ და მოწესრიგებული სამუშაო ადგილი, ესთეტიკური გარემო არა მარტო შრომას, არამედ ადამიანსაც ასვამს კეთილისმყოფელი გავლენის კვალს. ეს ვინმეს ახირება კი არა, მეცნიერთა დაკვირვებებით გამოტანილი დასკვნაა.

უხერხულიც კია ამის შეხსენება, მით უფრო გაზეთის ფურცლებზე საჯაროდ გამოტანა, ვინც ჩვენს პატარა ქალაქში სანიტარულ ნორმებს არღვევს, უგულისყურობასა და დაუდევრობას იჩენს. წარმოიდგინეთ, ვინმე სტუმარმა მოისურვოს ქალაქის გაცნობა და დათვალიეყველას, ვისაც რაიმე საქმეზე სასამართლოში, შემნახველ ბანკში, სანოტარო მაგიდასა თუ მმაჩის განყოფილებაში მოუხდება მისვლა. ეს სასიკეთო ეზო, ნარგავებითა და ახასხასებული ბალახით, ღორებისაგან გადათხრილ-გადაბრუნებულია. ნუთუ ასე ძნელია ოთხი ორგანიზაციისათვის უკანა მხარეს მდებარე ჭიშკართან საკაკვების მიერთება, რომ დაცული იქნეს საქონლისაგან.

სასურსათო პავილიონის გვერდით უსუფთაობაა, ხოლო ლუდის ბარის უკან ნახმარი ციის სისტემა მწყობრიდანაა გამოსული და ფეკალური და საყოფაცხოვრებო ნახმარი წყლები ღია გრუნტით მიედინება სანაპირო ქუჩის მარჯვენა მხარეს, რომელიც თავს იყრის ალავე ქუჩის ახლოს მცხოვრებთა ეზოების უკან, მინერალური წყლების ჩამოსასხმელი საამქროს წინ და დამყაყებული წყალი ამწვავებს ეკოლოგიურ მდგომარეობას.

განსაკუთრებით „შთამბეჭდავი" აღმოჩნდა რესტორნის კუთვნილი ავზი. იგი ამოვსებულია ჭაობადქცეული წყლით, იამებით ისეა დაფარული, მწვანე მოლი ეს ყველამ იცის, მაგრამ მარტო ცოდნა რას უშველის თუ ვინმემ ხელი არ გამოიღო და დანაგვიანებული ეზო წესრიგში არ მოიყვანა.

დიეტური სასადილოს ეზოში, იმ შენობის უკან, რომელშიც საკმაოდ კომპეტენტური ორგანიზაციები მუშაობენ, ხელოვნური ნაგავსაყრელია შექმნილი. რას არ ნახავთ, თუნუქის კოლოფებს, ბოთლების ნატეხებს, ქილებს, ხმელ ტოტებს, ამის მოთენა აღარ შეიძლება. ბაზარი რომ ჩვენი სახეა, მეტისმეტად თვალში საცემია ამ ფრაზის რეალობა, მაგრამ მის ტერიტორიაზე მონსაავადმყოფოს ეზოს პირდაპირ რუსთაველის [illegible] მხარეს, გზის [illegible] რომელსაც იქ [illegible] იდამოს მეპატრონეები უნდა ასუფთავებდნენ, ზამთარ-ზაფხულ დანაგვიანებულია და უპატრონობის იერი აქვს.

აღარაფერს ვამბობთ დასასვენებელ ბაღში, სკვერებსა და ქუჩებში მოსიარულე ძროხებსა და ღორებზე.

თუ პროფესიონალური სახანძრო ნაწილის საქმიანი ეზო სულ წესრიგშია, გაზაფხულდება თუ არა კავშირგაბმულობის რაიონული კვანძისა და რაიკავშირის ეზოები თანამშრომელთა ძალებით წესრიგში მოიყვანება, რატომ არ შეიძლება ყველამ ასე გაკეთოს.

მიზანშეწონილი იქნებოდა კვლავ აღგვედგინა კვირაში ერთხელ სანიტარული დღე.

მართალია სანიტარული წესრიგის დარღვევებისათვის ბევრი დაჯარიმდა, ბევრი ობიექტიც დაილუქა და დაიკეტა, მაგრამ მთავარი ხომ ეს არ არის, მთავარია ის, რომ ვერა და ვერ დავამყარეთ სანიტარული წესრიგი, ვერა და ვერ მოვუარეთ ჩვენს პატარა ქალაქს, ვერა და ვერ შევცვალეთ ჩვენი მისდამი დამოკიდებულება, ვერ ვისწავლეთ მშობლიური ქალაქის ჭირისუფლობა.

ჯ. ყვირილიანი,
რაისანეპიდსადგურის მთავარი ექიმი.

ა. კვირკაშვილი,
ქალაქის განვითარებისა და საბინაო კომუნალური მეურნეობის განყოფილების გამგე.

ვლ. დავითუღიანი.
რაიონული გაზეთის მშრომელთა წერილების განყოფილების გამგე.

სისუფთავე, ჩვენ და მოვალეობა

რედმა გამოავლინა

როს იგი, სირცხვილით ხომ დაიწვება მისი მეგზური. უბრალოდ, უხერხულია, მეოცე საუკუნის მიწურულში საჭირო იყოს ისეთი ელემენტარული რამის შეხსენება, როგორიც სისუფთავის დაცვაა.

ასეა თუ ისე, ხშირად გვიხდება წერა ჩვენს ქალაქში, ქუჩებსა თუ მოედნებზე, საწარმო-ორგანიზაციასა თუ დაწესებულებათა ეზოებში მოუგვარებელ სანიტარულ წესრიგზე. სარეიდო ჯგუფი განაგრძობს ქალაქის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შემოწმებას. თუმცა საშუაო თუ საცხოვრებელი ადგილი რომ სუფთად შეინახო, ეს შემოწმება კი არა, ელემენტარული შინაგანი კულტურა ესაჭიროება. სარეიდო ჯგუფს გადაწყვეტილი აქვს სისტემატურად იმოქმედოს. იქნებ ამით მაინც როგორმე გადაეჩვიოს ზოგიერთ იმ საშინელ სენს, რასაც უპასუხისმგებლობა და დაუდევრობა ჰქვია.

იმ დღეს (23 აპრილს) ქალაქის შემოვლა კეპნარიდან დავიწყეთ. ალბათ, გულს სტკენს წყლები იღვრება და აბინძურებს გარემოს.

ასათიანის ქუჩის გასწვრივ არსებული კეპნარის ღელის წყალგამტარი არხი იქაურ მოსახლეობას თვითნებურ ნაგავსაყრელად გადაუქცევია, ათასნაირი ნარჩენებით აუვსია. ეს არც ერთი—ორი დღის და არც ერთი და ორი კაცის ნახელავია, არხს მთელ სიგრძეზე მოჰყვება სიბინძურე, არადა ისე ლამაზადაა ნაძვები ტანაყრილი, გულს გიხარებს, მაგრამ რად გინდა, წამით ვერ გაჩერდები. ასეთი ეკოლოგიური დანაშაული მიუტევებელია. სასწრაფო ღონისძიებები აუცილებლად არის საჭირო.

საგზაო სამმართველოსა და ცაგერიგზის კანტორის შორიახლოს საკმაოდ მოზრდილ ტერიტორიაზე ქვა-ღორღის გროვაა, ამ ადგილის გაწმენდა და გულიანი ხელმძღვანელების მიერ ჩატარებული კეთილმოწყობის სამუშაოები იქაურობას დაამშვენებდა.

რაიონული საავადმყოფოს, რესტორნის, აბანოს და ორმოცბინიანი №1 სახლის კანალიზაგეგონებთ, რომელშიც სხვადასხვა დანიშნულების საგნები ტივტივებს. იგი ქალაქის ცენტრში მალარიის გამავცელებელი მწერების გამრავლების ერთ-ერთი კერაა.

ცხენისწყლის გასწვრივ, ბენზინის ჩამოსასხმელი ჯიხურიდან ცაგერიგზის კანტორამდე სანაპირო ზოლი ნაგავსაყრელადაა ქცეული. საკოლმეურნეობათშორისო სამშენებლო ორგანიზაციისა და ავტოსატრანსპორტო საწარმოს ხის სახელოსნოებიდან ნახერხი ცხენისწყლის სანაპიროზე გაიტანება და აბინძურებს მდინარეს.

რუსთაველის, კოსტავას და თავისუფლების ქუჩებზე სანიაღვრე არხები ამოვსებულია სიბინძურით და აუცილებლად საჭიროებს გაწმენდას.

ნაგვის ხელოვნური მთა სასაფლაოს შესასვლელთან ჭირისუფალთა ნახელავია. იგი თანდათან იზრდება და განმცოთხავი არავინ არის.

საავადმყოფოს რომ განსაკუთრებული სისუფთავე სჭირდება, საკავშირის, ჩამოფასებული და კოოპოვაკრობის მაღაზიების წინ უსუფთაობაა. საკითხავია, რატომ არ აწუხებთ ეს აქაურ მუშაკებს?

საგანგაშო მდგომარეობა ვიხილეთ ავტოსადგურის შენობის ირგვლივ. რესტორნის მხარეზე არსებულ (თუ გაუქმებულ) ტუალეტში საშინელებაა. მაგრამ უფრო სავალალო ისაა, რომ იქ ახლოს მცხოვრები მოსახლეობის გარდა არავის აწუხებს ეს ამბავი. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გაირკვეს ვის ეკუთვნის ეს შენობა და მის ირგვლივ არსებული ტერიტორია.

მოსაწესრიგებელია ორმოცბინიანი საცხოვრებელი სახლის, სახელმწიფო სატყეო მეურნეობისა და სტომატოლოგიური კაბინეტის მიმდებარე ტერიტორიები.

ქალაქის ქუჩები დაორმოებულია და აუცილებლად საჭიროებს შეკეთებას. რუსთაველისა და ჭავჭავაძის ქუჩების გადაკვეთაზე ბეტონი ჩაქცეულია და საფრთხეს უქმნის ღამით ფეხით მოსიარულეთ.

ᲡᲙᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

◆

ᲠᲐᲓᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲗ

მათემატიკა მეცნიერებისა და ტექნიკის ენაა. მათემატიკის შესწავლას გარკვეული წვლილი შეაქვს ადამიანის გონებრივ განვითარებაში. მათემატიკურ დასკვნათა ობიექტები და მათი კონსტრუირების წესები თვალსაჩინოდ ავლენს ლოგიკურ წყობათა მექანიზმს, ანვითარებს მსჯელობათა ფორმულირების, დასაბუთებისა და დამტკიცების უნარს, რითაც ხელს უწყობს ლოგიკური აზროვნების განვითარებას.

1990-1991 სასწავლო წელს მათემატიკის სწავლების საქმეში საკმაო სიახლეები განხორციელდა. სკოლები მუშაობენ ახალი, გადამუშავებული სასწავლო გეგმებით, ამის გამო გარკვეული და მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მათემატიკის სწავლებისათვის განკუთვნილი კვირეული საათების განაწილებაშიც. ახალი სასწავლო გეგმით მე-5-9 კლასებში ყველგან ნაცვლად კვირეული 6-6 საათისა, დაგეგმილია 5-5 საათი. ცხადია მე-5-9 კლასებში კვირეული საათების შემცირებამ მოითხოვა მათემატიკის პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შესწავლისადმი ახლებური და მოდერნიზებული მიდგომა.

ახალ სასწავლო გეგმებში და მისგან გამომდინარე სასწავლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის ძირითადი იდეა გამომდინარეობს მოსწავლეთა განტვირთვის და საერთოდ, სკოლების ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლის ამოცანებიდან.

მათემატიკის სასწავლო პროგრამებში ცვლილებების შეტანა, ბუნებრივია, მოითხოვს სახელმძღვანელოებში რადიკალური ცვლილებების შეტანას. პროგრამის ცალკეული საკითხების შესწავლის ფორმების ახალ მეთოდურ დამუშავებას. ამჟამად ძირითადი აქცენტი არის აღებული, რომ მათემატიკის სასკოლო კურსიდან ამოვიღოთ ისეთი საკითხები, რომელთაც არ გააჩნიათ პრინციპულად საჭირო შიგასაგნობრივი კავშირები ან მოცემული ასაკის მოსწავლეთა დიდ ნაწილს უჭირს ათვისება და სხვა.

ახლა, როცა განათლების სისტემის ჰუმანიზაციამ და დემოკრატიზაციამ რეალობად აქცია ოცნება დიფერენცირებული სწავლების შემოღებაზე, როდესაც წინა პლანზეა წამოწეული მოსწავლეთა შესაძლებლობის გათვალისწინების და მათდამი დიფერენცირებული მიდგომის გამოყენება, მასწავლებელს სრული უფლება ეძლევა პროგრამული საკითხების შესწავლას მიუდგეს მისეული ნაცადი და აქტუალური მეთოდების გამოყენებით, აქასთან უფლება აქვს დასაბუთებული მოსაზრების საფუძველზე ოფიციალურ პროგრამაში ცალკეულ თემებსა და საკითხებზე განკუთვნილი საათების განაწილებაში გარკვეული კორექტივები შეიტანოს.

უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკის სწავლების დონის ასამაღლებლად. რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ყოველწლიურად უმჯობესდება მათემატიკის სწავლებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

უკანასკნელ ხუთ წელიწადში რაიონის საშუალო და არასრულ საშუალო სკოლებში შეიქმნა მათემატიკის ხუთი კაბინეტი, დღეისათვის რაიონის 13 საშუალო სკოლიდან 11 საშუალო სკოლაშია ასეთი კაბინეტი. ბოლო სამი წლის განმავლობაში 6 სკოლის მათემატიკის კაბინეტში დამონტაჟდა მიკრო-კალკულატორები. ორ სკოლაში დამონტაჟდა კომპიუტერები, რომლებსაც რაიონის სკოლები იმედის თვალით უყურებდნენ, მაგრამ, საუბედუროდ, რადგან მათ ქარხნის დეფექტები აღმოაჩნდათ, დღემდე უმოქმედოდ გვაქვს. განათლების სამინისტროს ჩარევით მივაღწიეთ კვლავ შემოგვეტანა ორი კომპლექტი კომპიუტერებისა, რომელთა დამონტაჟებას ველოდებით.

საგრძნობი ცვლილებები მოხდა მათემატიკის მასწავლებელთა შემადგენლობაში, ამჟამად რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მომუშავე 59 მათემატიკის მასწავლებელიდან 51 უმაღლესი განათლებითაა.

(დასასრული მე-4 გვერდზე).

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ „ᲛᲐᲛᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ"

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ და მისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის შესწავლა, სხვადასხვა ეროვნების ადამიანების მეგობრობის განმტკიცება, სახღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან კონტაქტების დამყარება და მათთვის ქართული ენის სწავლებაში დახმარების გაწევა, სტიქიური უბედურებით დაზარალებულ აჭარელთა გადმოსახლებისათვის ზრუნვა—აი ის მიზნები, რომელთაც ისახავს —ბათუმში ახლად შექმნილი ორგანიზაცია—სრულიად საქართველოს მემედ აბაშიძის საქველმოქმედო საზოგადოება „მამულიშვილი".

—„მამულიშვილი" პოლიტიკურ მიზნებს როდი ისახავს,— მისი ამოცანაა დაეთესოთ გონიერება და სიკეთე. საჭიროდ მიგვაჩნია, გამოვცეთ, მემედ აბაშიძის—საქართველოს დიდი პატრიოტისა და საზოგადო მოღვაწის ბიოგრაფია, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას მოახმარა.

—თქვა ამ საზოგადოების პრეზიდენტმა თეიმურაზ კომახიძემ,

ლალი ღეთოდიანს
გიორგი კვირკაშვილს

გილოცავთ ბედნიერებას. გაზაფხულივით ლამაზი ყოფილიყოს თქვენი ცხოვრება. დაგბედებოდეთ შვილთა სიმრავლე.

ლამარა, ნონა, ვაჟა კოპალიანები, თინიკო, როლანდი ჩხეტიანები.

მარინე რუგენის ასულ ხვადაგიანს
ავთო ამგროსის ძე მაისურაძეს

გილოცავთ ბედნიერებას. შეგექმნათ ფუძეძლიერი და შვილმრავალი ოჯახი. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი იხარეთ და იბედნიერეთ.

მარგალიტა შკუბულიანი, ლია, ჯენალ მეგრელები.

მაყვალა ამგროსის ასულ მეშველიანს
მურთაზ დავითის ძე ლარცულიანს

გილოცავთ ბედნიერებას. სიყვარული და სიხარული დაგბედებოდეთ. მრავალი შვილი შეგძინოთ ერის საკეთილდღეოდ.

იზო, ნუგზარ, ბაგრატ ტვილდიანები, ირმა, დათო მუშკუდიანები, ვენერა გოლეთიანი.

მაყვალა ამგროსის ასულ მეშველიანს
მურთაზ დავითის ძე ლარცულიანს

გილოცავთ ბედნიერებას, გისურვებთ გამრავლებას და გახარებას.

მელორი, მერაბ დავითულიანები, გოგი, ამირან კვირკაშვილები.



გულო ვლადიმერის ასულ ყურაშვილს
რომან კოლიას ძე ახვლედიანს

გილოცავთ გოგიტას ბედნიერებას, მარადიული სიყვარული ყოფილიყოს მათი ცხოვრების თანამგზავრი. მრავალ შვილს აეხმიანებინოს თქვენი ეზო-კარი.

გულო, კარლო, მამუკა, მაია, მარიკა ჩაკვეტაძეები.

ჯენი, ვალერი, დუდუშა, ანზორ ახვლედიანებს

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი, კვლავ მრავალ სიხარულს შეევსოს თქვენი ოჯახის ფუძე-ჭერი. ლამაზად ეცხოვროს თავის პატარა დაიკოსთან ერთად დამოუკიდებელ საქართველოში.

ჯეირან, მირიან, მარინე ახვლედიანები.

თამილა, რომან მამარდაშვილებს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ქალი.

ნანული, კაკო ქომეთიანები.

მაია, ბესიკი, ძაძუ, ვაჟა ჭაბუკიანებს

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი. ძეობა, მზეობა, მხნეობა ნუ მოგკლებოდეთ.

ნინო, გია კოპალიანები.

ღამზირა ახვლედიანს
მერაბ სილაგაძეს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. გაიზარდოს სასახელო, კეთილი, ბედნიერი, ჯანმრთელი. კიდევ მრავალი შეგძინოთ ქალ-ვაჟი.

ცაგერის სასურსათო კომბინატის თანამშრომლები.

იზოლდა გრიშას ასულ გოგებაშვილს
ნანული ეფრემის ასულ ჩაჩხიანს
ნანული გიქტორის ასულ ქურციკიძეს
ციური ვალოდიას ასულ ხერგიანს

გილოცავთ ქალიშვილების ბედნიერებას, შეექმნათ ფუძეძლიერი ოჯახები.

ორბელის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

რაღიკალური ცვლილებებით

(დასასრული).

სკოლების მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი სისტემატურად მუშაობს თავისთავზე, კვალდაკვალ მისდევს სიახლეებს, ცდილობენ ყოველი გაკვეთილი ჩაატარონ დღევანდელ მოთხოვნათა დონეზე. გაკვეთილებზე იყენებენ ვიდეოსაჩვენებლებს. ტექნიკურ საშუალებებს, ცდილობენ მოსწავლეებს გამოუმუშაონ დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები.

რაიონის სკოლების თითქმის ყველა მათემატიკის მასწავლებელს ბოლო ხუთ წელიწადში გავლილი აქვს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები. ღღეისათვის რესპუბლიკის უმაღლეს პედაგოგიურ ინსტიტუტებში მათემატიკის სპეციალობას იღებს რაიონის სკოლების კურსდამთავრებულთაგან 12 ახალგაზრდა, საინჟინრო და ეკონომიურ სპეციალობებზე სწავლობს 125 ახალგაზრდა.

მიუხედავად წარმატებებისა, რაიონის ზოგიერთ სკოლაში მათემატიკის სწავლების მდგომარეობა [illegible] ლი ნაკლოვანებებით ხასიათდება. რაიონის 2 საშუალო და 7 არასრულ საშუალო სკოლას არ აქვს მათემატიკის სასწავლო კაბინეტი. ზოგ სკოლაში, მართალია, კაბინეტი არის, მაგრამ ტექნიკური საშუალებების გამოყენების დონე დაბალია.

გაკვეთილების ჩატარების ხარისხზე მოქმედებს ისიც, რომ მასწავლებლები არ არიან უზრუნველყოფილი დამხმარე მეთოდური სახელმძღვანელოებითა და ლიტერატურით.

განათლების განყოფილება, სკოლების დირექციები და მათემატიკის მასწავლებლები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ არსებითად გარდაიქმნას მათემატიკის სწავლება, აღზარდოთ შეგნებული, განათლებული ახალგაზრდები.

ნ. კოპალიანი.

განათლების განყოფილების ინსპექტორი.

ჰონორარი გადარიცხული იქნას ეროვნული თავდაცვის ფონდში.

დოდო და შარო მანაგაძეებს

დოდო ბებია და შარო ბაბუა, გილოცავთ მზიაკოს ბედნიერებას. შეძენა, სიხარული და სიყვარული არ მოკლებოდეს თქვენს ოჯახს.

ირმა და დათო მუშკუდიანები.

ხათუნა ხმალაძეს

ხათუნა მასწავლებელო, გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო შვილი, ღმერთი იყოს მისი მფარველი.

მირანდა უგრეხელიძე.

კოსტა ღურჭუმალიძეს

გილოცავთ დაბადების დღეს. იხარე, იდღეგრძელე მარადჟამს. სიხარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.

ბელა, კუკური ჩარკვიანები ოჯახით.

ნადია, დოდო, ამბერკი ცვარიანებს

გილოცავთ ნანას ბედნიერებას. ულევ სიხარულს და შვილთა სიმრავლეს დაეშვენებინოს მათი ოჯახი. ღმერთი იყოს მათი მფარველი.

ბახვა კოპალიანი ოჯახით.

ღამზირა გივის ასულ კვირკაშვილს
მამუკა მიშას ძე ქარსელაძეს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო ქართველი ქალი, ფარავდეს ღმერთი.

ცაგერის საყოფაცხოვრებო მომსახურების 30-ადგილიანი კომბინატის თანამშრომლები.

გურამ კირილეს ძე გვიშიანს

გილოცავთ ნახევარსაუკუნოვან იუბილეს. გისურვებთ დღეგრძელ, ბედნიერ ცხოვრების გზას თქვენი ლამაზი ოჯახით. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ლაშა გივის ძე ბურჯალიანი.

ღალი იაკობის ასულ სვანიძეს
ჯონი გიგას ძე ნემსწვერიძეს

გილოცავთ ვაჟის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო შვილი.

ღვირიშის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლეები.

ბეუღლე ზაირა, სიდედრი დარიკო ჭიღვარია, შვილები იზა, მარინე, შვილიშვილები თეა, ლევან ტვილდიანები, დები ეთერი, ნაზიკო, ნათელა, ცოლისდა სულიკო ჭიღვარია, სიძეები თამაზ ტვილდიანი, გია ბურჯალიანი, კარლო ბოგიშვილი, სიმონ სვანიძე, რომან ალავიძე, ცოლისდისშვილები ხათუნა, ნანა, დარეჯან ალავიძეები, ბიძა გიგა ყურაშვილი, ბიძაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გურგენ ლევანის ძე ახვლედიანი

დაკრძალვა 4 მაისს, შაბათს, სოფ. ლახანაში.

გერონტი, რომან კალანდაძეები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გურგენ ახვლედიანი.

შვილები ელატო, პინა, რძლები ვერა, ლალი, ნაზიკო, მაყანა ნინო, სიძე ჯემალ ლეთოდიანი, შვილიშვილები ნათელა, დემური, ტარზანი, ოლეგი, მურთაზი, მარინე, ჯემალი, ამირანი, ომარი, ბოჩია, შვილთაშვილები შმაგი, კახა, თიკო, ლიკა, ნიკა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლიდა გიორგის ასული
კოპალიანი-მეშველიანი.

დაკრძალვა 2 მაისს, ხუროშაბჟოს, სოფ. ბარდნალაში.

ჯაბუ, რეზო ტვილდიანები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გურგენ ლევანის ძე ახვლედიანი

კარლო, ჯუმბერ, ოლეგ ჭიღვარიები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გურგენ ლევანის ძე ახვლედიანი

შვილები ნინა, ლენა, შვილიშვილები რომანი, მურმანი, ციცო, ქორა, გუჯუ, ნაზი, მაგული, ფრიდონ მუშკუდიანები, შორენა, ლეილა, აზა, ედიშერ ბენიძეები, მაზლი ნიკო ჩიქოვანი, მაზლისშვილები, რძლები, შვილთაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნინუცა პარიმონის ასული
მამარდაშვილი-ჩიქოვანი.

დაკრძალვა 4 მაისს, შაბათს, სოფ. ოყურეშში.

ჯემალი ლეთოდიანი ოჯახით იუწყება

ლიდა მეშველიანის

გარდაცვალებას.

რაიკოოპერატივის, საზკვების გაერთიანებისა და პურკომბინატის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მარინე შიქაძეს დედის

ლოლა ხუბუკელაშვილი-მიქაძის

გარდაცვალების გამო.

№1 სტბავშო ბაღის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გურგენ ლევანის ძე ახვლედიანი

ცაგერის ღვინის ქარხნის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მარინე ლეთოდიანს ბებიის

ლიდა მეშველიანის

გარდაცვალების გამო.

ლუხვანოს საექიმო ამბულატორიის თანამშრომლები თანაუგრძნობენ მარინე ხეცურიანს დედის

დომნა ხეცურიანის

გარდაცვალების გამო.

„ლეჩხუმი“ გამოდის
* სამშაბათს
* ხუთშაბათს
* შაბათს

ჩვენი მისამართი: 384100 ქ. ცაგერი, რუსთაველი ქ. №56 ტელეფონები: რედაქტორის — 22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელ მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების — 22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების —22-41, სტამბის დირექტორის—22-17, საამწყობო საამქროს —22-23

შეკვეთა № 41 ტირაჟი 4800

რედაქტორი
ნოდარ ნემსაძე

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო დეპარტამენტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა